ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №120

დ. ხულო 20 ივნისი 2011 წელი

ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალიტეტი, (მის:. დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1) ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ თავართქილაძის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი.მ. „იოსებ ართმელაძე“ (მის:. ხულო, სოფ. ბედლეთი) იოსებ ართმელაძის სახით, (შემდგომში - „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დიოკნისის ტერიტორიული ორგანოს ***სოფელ ბედლეთის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა ბეტონით (94 გრ/მ ოთხი ცხაურით),*** (შემდგომში - „სამუშაო“), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით, (თანახმად ხარჯთაღრიცხვისა, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).

1.2 სამუშაოთა მოცულობები განისაზღვრება ხელშეკრულების დანართით, ფორმა №3, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. სამუშაოს საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ***6884 (ექვსიათასრვაასოთხმოცდაოთხი)*** ლარს.

2.2. სამუშაოს ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3 მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, სამუშაოს შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

2.4. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

2.6. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული სამუშაოს მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული სამუშაოს მოცულობების ღირებულებას, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა ნებისმიერი სხვა სახის სამუშაო, მისი მოცულობის და რაოდენობის მიუხედავად არ იქნება განხილული და ანაზღაურებული. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი და დამატებით მიწოდებული სამუშაოს მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2011 წლის 16 მაისის №01/20-84 ბრძანების თანახმად შექმნილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კომისია“.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.5 თუ ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადა სცილდება სამუშაოს საგარანტიო ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

4. სამუშაოს მიღება – ჩაბარება

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. მიმწოდებელის მიერ შესრულებული სამუშაოები, მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2011 წლის 16 მაისის №01/20-84 ბრძანების თანახმად შექმნილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კომისია“.

4.4. სამუშაოების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს შესრულებული სამუშაოების საბოლოო შემოწმებას, რომლის მიზანია სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობის დადგენა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან, დამტკიცებულ პროექტებთან, არსებულ სტანდარტებთან. საბოლოო შემოწმების პროცესში ხელშემკვრელ მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. სამუშაოს შესაბამისობა

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს შესასრულებელი სამუშაოს პროექტს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაო შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში, შესასრულებელი სამუშაოს პროექტისა და მოცულობის შესაბამისად.

ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით.

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული სამუშაოს საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს კონტროლი სამუშაოს მიმდინარეობაზე თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.

6.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ცვლილებების განხორციელებამდე სამი კალენდარული დღით ადრე.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების

შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. სამუშაოს შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. სამუშაოს მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან ***2011 წლის 16 აგვისტომდე*** პერიოდით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტი და მე-3 მუხლი ასევე მოქმედებს ამ ხელშეკრულების 10.1. პუნქტით განსაზღვრული ვადებითა და პირობების შესაბამისად.

10. პასუხისმგებლობა

10.1. მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამწლიან გარანტიას და დეფექტის წარმოშობის შემთხვევაში მითითებული პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრის დაზიანებას.

10.2. ამ მუხლის 10.1. პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს წუნის გამოსწორება.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პიგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების ***0.25 %.***

10.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით 6.1. პუნქტის „ა" ქვეპუნქტის ნაკისრი ვალდებულებების ვადების გადაცილებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ***0.25 %.***

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორული სიტუაციები

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გადასახადები და ბაჟები

13.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. სხვა პირობები

15.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადების გადაცილებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს სახით დაქვითოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულებიდან შესაბამისი თანხა.

15.3. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

15.4. ხელშეკრულება იდება სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი პირი გადაეცემა მიმწოდებელს ორი კი შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხულოს მუნიციპალიტეტი	ი.მ. „იოსებ ართმელაძე“
მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1	მის.: ხულო სოფ: ბეღლეთი
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ხულოს ფილიალი	ს.ს. „პრივატბანკი“-ს
ს.კ 248056311 ბ/კ: LBRTGE22	ხულოს სერვისცენტრი
ანგ. №GE29LB0120133255904000	ს. კ. 61009003104 ბ/კ CAVOGE22
	ანგ. №GE76TP0036010060017093
ნ. თავართქილაძე	ი. ართმელაძე
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)